

ვარსმან ქველის წერილი იმპერატორ ადრიანესადმი

(სადაც მოთხოვილია მეფე ფარსმანის მოგზაურობა
და აღმოსავლეთის საოცრებათა ამბები)

წინამდებარე სტატიაში შევხები დასავლეთევროულ მეცნიერებაში იბერიის მეფე ფარსმანის წერილის სახელით ცნობილ ლიტერატურულ ძეგლს. ვიღრე საკუთრივ ფარსმანის ეპისტოლებზე ვისაუბრებდეთ, უმჯობესი იქნება ჯერ თავად წერილის ტექსტს გავეცნოთ. წერილის პირველადი ლათინური ვარიანტი, რომელიც შემონახული არ არის, თარიღდება დაახლოებით II-IV საუკუნეებით (ასევე დაკარგულია სავარაუდო ბერძნული ორიგინალი). წერილში მეფე ფარსმანი მოუთხოვის იმპერატორ ადრიანეს აღმოსავლეთში თავისი მოგზაურობისა და ამ მოგზაურობისას ნანას საოცრებათა ამბებს. მართალია, ტექსტში ნათქვამი არ არის, რომელი ქვეყნის მეფეა ფარსმანი, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყოველგარ გჭებ გარეშე, აქ იმერიის მეფე ფარსმანი იგულისხმება და ეს ფაქტი დასავლეთევროპულ მეცნიერებაშიც, ასე ვთქვათ, ურყევად აღიარებული ჰქემმარიტებაა¹.

“I. ეს არის აღმოსავლეთის მხარეთა აღწერა. მეფე ფარსმანი თავის სალამს უძღვნის დავთავის ადრიანეს. შენი წერილები, იმპერატორ, ჩემთ ბატონო, ასაკრატეს და მონაკრატეს ხელით მივიღე, მაშინვე გავეცანი მათ (შევაფახი ისინი) და მოხარული ვარ გავიგო, რომ შენი დიდი და ბრწყინვალე იმპერია სრულყავო. ამ ხნის განმავლობაში შევიტყვე ხალხთა მხარეთა შესახებ, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს (ეკუთვნიან) და (მათ აღწერილობას) ვვ ზავნი თანდართულს ჩემი წერილებისათვის. ამ ამბავს ასევე დაგუმატე ის, (რის გაგებაც შევძლი) პირადად, ჩემი ნათესავებისა ან და-ძმებისაგან.

2. ანტიოქიის საზღვრებიდან იწყება 190 სტადიონის სიგრძის მქონე (სახიფათო) მდინარე; ეს წმინდა ადგილია. ნიკერელთა ქვეყნიდან ლილისის კუნძულამდე და იქიდან მდინარე ევფრატის ნაპირამდე 95 სტადიონია. ამ კუნძულზე (ოლისზე) დიდი რაოდენობითაც ცხვრები.

3. აქედან ეგმონამდე 19 სტადიონია. ეს დასახლება (კოლონია) დიდი საგაჭრო ცენტრია, ის გაჭართა სამშობლოა და იქ პავიტ (ცხოვრობენ) უზარმაზარი ცხვრები. აქედან ვაჭრობენ ხოლმე

ცალკეული საგნებით. შემდეგი ქალაქი (ან: მოდიელთა ეუთვინილი, ან: სამხრეთით მდებარე) მეტად დიდარია და ეწოდება არქიმედია. ის მდებარეობს ბაბილონიდან 300 სტადიონის დაშორებით და იქ არის დიდი (სიმდიდრის მქონე) დასახლებები. აქედან დიდ მდინარემდე, რომელსაც პეტრია ანტელეგენისი, არის 300 სტადიონი. ბაბილონი მდიდარი ადგილი, 60 სტადიონითაა მესოპოტამიას დაშორებული. ამ გამორჩეული და მდიდარი ადგილიდან დამასკოს სიმაგრეებამდე 135 სტადიონია. მოგზაური ამ გზაზე მარცხენა მხარეს მოიტოვებს 12 სახლმწიფოს (ან ქალაქს). ესენია: ვაღათო, მელენიმო, კლეოპატრა, თერმასია, მარმინი, მარაგონი, ფლუვიუსი, კასია, პოსიდონია, ინდია, ანდა, კლუხანა.

4. აქედან ფილონის ციხე-სიმაგრემდე 300 სტადიონია დაშორება. ეს მხარე პორუსის მთის უშუალო სიახლოებებს მდებარეობს. აქ მრავლად ვხვდებით ქათმებს, რომლებიც ჩვენს (ქათმებს) პგვანას და იმავე ცერისანი არიან. მაგრამ თუ ვინმე რომელიმე მათგანის დაჭერას მოიხურებს, მის სხეულს (ქათმის დაჭერის მოსურნისას) ცეცხლი მოეკიდება. ეს ხდება იმიტომ, რომ ქათმები შხამიანები არიან.

5. ამ ადგილას იბადებიან მაიმუნის მსგავსი კელური ცხოველები (ვარიანტი: პატარა უმნიშვნელო ბეხტიები). როდესაც ესმით ხმაური, ისინი გარბიან. მათ აქვთ რვა-რვა ფეხი და რვა-რვა თვალი (ვარიანტი: გორგონას თვალების მსგავსი ოთხი თვალი). მათ აქვთ ორი თავი (ვარიანტი: ორი რქა) და თუ ვინმე მათს შეკურობას (ვარიანტი: მოკვდას) მოიხურებს, წინდაწინ კარგად უნდა შეიარაღდეს.

6. სელეკკიიდან ბაბილონისაკენ ამგარად მეზაგრობისას მანძილი არის 60 სტადიონი. ეს სამეფო მოსდევს მიდიელთა მხარეებს (ვარიანტი: სიდონიას). ეს სამეფო მდიდარია. ამ ადგილას ვხვდებით ქვეწარმავლებს (ვარიანტი: ისინი არიან უზარმაზარი, საზარელი და განსაკურებით მძინვარენი), რომელთაც აქვთ ორ-ორი თავი და რომელთა თვალებიც დამით ნათურებივთ ელავენ.

7. იმავე ადგილას იბადებიან მეტად დიდი აღ-

ნაგობის, რქიანი გარეული ვირები (ვარიანტი: გარეული ვირების რქიანი ხარისას პგავე).

8. არაბეთის ახლოს მდებარე მხარე, უშუალოდ წითელ ზღვასთან, უნაყოფო და უკაცრიელია იქ მობინადრე ქვეწარმავლების გამო. მათ ეწოდებათ კაერასტეს და აქვთ ვერძის მხავას რქიანი, რომდებითაც ადამიანის სასიკლილოდ დაჭრა შეუძლიათ (ვარიანტი: როგორც კი ადამიანს დაინახავენ, იმწამსვე კლავენ). პილპილი იქ უხვად იზრდება და მას იცავენ ქვეწარმავლები. პილპილის შესაგროვებლად ადამიანებმა თავდაპირებულად ცეცხლი უნდა წაუკიდონ იმ მხარეს (ვარიანტი: როგორც კი პილპილი საკმარისად წამოიზრდება, ადამიანები ცეცხლს უკიდებენ აღნიშნულ მხარეს). (ცეცხლისაგან თავის დასაცავად) ქვეწარმავლები გარბიან მიწისქვეშ და პილპილი შავ ფერს იღებს. თავისთავად პილპილი თეთრია.

9. ბაბილონიდან სპარსეთის სახელმწიფომდე (ვარიანტი: სიდონის დასახლებამდე, ან: სიდონის დასახლების გავლით), იქ, სადაც პილპილი იზრდება, დაშორება 300 სტადიონია. ეს აღგოლები უნაყოფოა ქვეწარმავლების გამო.

10. სელეკიონიდან მარჯვენა მხარეს, წითელი ზღვის მიმართულებით სიარულისას არის სხვა დასახლებები. ამ ადგილას გხვდებით კინოკეფალებები, რომელთაც აქვთ ცხენის ფაფარი. მათ აქვთ მეტად მაგარი და დიდი, ტახის (ეშვების) მსგავსი კბილები. (კინოკეფალების) თავები ძაღლის თავის მსგავსია და ამოსუნთქვისას ცეცხლს აფრკვევენ. ეს სახელმწიფო (მხარე) ჭიდოროდაა დაკავშირებული მეზობელ რეგიონებთან, მეზობელი მხარე მდიდარია, (ხოლო თვითონ ეს პროვინცია) საგსეა ყოველგვარი კარგი საგნებით.

11. მარჯვენა მხარეს ეგვიპტისაკენ წასვლისას მოგზაური ხედება აუნდულ ზე, სადაც ცხოვრობს მაღალი ხალხი. წვერები მუხლებამდე ეზრდებათ. მათი სახელია იხტიოფაგები. ისინი ჭამებ უმ თევზებ.

12. იმავე კუნძულზე მდებარეობს მდინარე გარგარუსი. ამ მდინარის გადაღმა ცხოვრობები მირმიდონული ჭიანჭველები. ისინი ძაღლის ზომისანი არიან (ვარიანტი: კატისხელები). აქვთ ეჭვი ფეხი ასთაკვის მსგავსად (ერთ ვარიანტში ძაღლის მსგავსი კბილებიც აქვთ). ისინი შავი არიან, აქვთ თეთრი კბილები და ოქრო მიწისქვეშითიდან დღის სინათლეზე ამოაქვთ. თუ თვალი მოჰკრეს ადამიანს ან ცხოველს, ძვლებამდე გამოხრავენ. იმდენად სწრაფად დარბიან, კაცი იფიქრებს – დაფრინავენ. მზის ამოსვლიდან მეტეთ საათამდე მიწის ქვეშ არიან, ოქროს თხრიან და მიწისქვეშა მაღაროებიდან მზის სინათლეზე ამოაქვთ. ადამიანები, რომელთაც მათი სისხლისა არიან, აქვთ ცხენის მსგავსი არიან. მათი ფეხები ლომისაა. (ამ ცხოველების) სიგრძე არის 30 ფუტი, ხოლო გარშემოწერილობა – 12 ფუტი. დოღი აგებულების არიან. პურის სანიავებლის მსგავსი პირი აქვთ. თუ ისინი ხედავენ ადამიანს, ან თუ ვინგე მისდევს, ისინი გარბიან რაც ძალი და ღონე აქვთ. თუ ვინგეს მათზე ნადირობა სურს, ხაიდანმე სისხლი უნდა მოხწოვოს, რათა საკუთარი თავი დაიცვას ამ ცხოველებისაგან (ვარიანტი: ადამიანები იკვებებიან მათი სისხლით.

ხერხით ართმევენ ჭიანჭველებს). მიყავთ როგორც მამალი, ასევე დედალი აქლემები თავიანთი კოზაკებით და კოზაკებს აბამენ მდინარის (აქეთა) მოშორებულ ნაპირზე კაცები გადადიან მდინარეზე დიდ აქლემებთან ერთად და როდებაც მიაღწვენ (შესაბამის) ადგილს, ოქროს ტვირთავენ დედალ აქლემებზე, ესენი კი მიიჩქარიან თავისი კოზაკებისაკენ. როდებაც ადამიანები დაინახავენ მათ დასაღენებლად გამზადებული ჭიანჭველების კოლონებს, ტოვებენ მამალ აქლემებს და გარბიან მდინარისაკენ. ჭიანჭველები ჭამენ მამალ აქლემებს. ეს ჭიანჭველების აყოვნებს და საშუალებას აძლევს ადამიანებს დედალ აქლემებთან ერთად გადალახონ მდინარე (ადამიანები და დედალი აქლემები) ისე სწრაფად გარბიან, თითქოს მიფრინავდნენ. შემდეგ ჭიანჭველები, მართალია, დევნას აგრძელებენ, მიდიან მდინარემდე, მაგრამ მისი გადალახა არ შეუძლიათ. ამგვარად ხვდება ჩვენთან ოქრო იმ მხარიდან (ვარიანტი: ასე იტაცებენ მთელი იმ მხარის ოქროს).

13. ამ ორ გზას შორის არის დასახლება. ის მოქცეულია მდინარეებს შორის. როგორც ნილოსის, ასევე ბრიზონის სათავეები უცნობია. ბრიზონი ნილოსის შენაკადია. ბრიზონის სამხრეთის წყლებთან ერთად ნილოსისათვის წყალდიდობაც მოაქვს თან. ნილოსი ეგვიპტეზე მიედინება. მგბიატელები მას არხობოლებას უწოდებენ, რაც დიდ წყალს ნიშნავს. ეს ბრიზონი სავარაუდოდ ნილოსის სათავეა. ბევრ სპილოს გხვდებით ამ მხარეში.

14. აქ ცხოვრობენ გრძელფეხი ადამიანები, ისინი მეტად მაღლები არიან, 12 ან 15 ფუტის სიმაღლისანი (ვარიანტი: აქვთ 12 ფუტის სიგრძის ფეხები და მათი დანარჩენი სხეულიც 12 ფუტია). მელავები მხრებამდე თეთრი აქვთ (ვარიანტი: მთლიანად თეთრი ფერის არიან). მათი ბარძაკები შავი ფერისაა, ხოლო ფეხები – მოწითალო. აქვთ მრგვალი თავები, გრძელი ცხვირი და შავი მხრები. გარკვეულ პერიოდში გადაიქცევის ხოლმე ფრინველებიად. აგრეთვე მრავლდებიან როგორც ფრინველები თქვენთვის ნაცნობ მხარეებში. მათ თქვენ წერობს უწოდებთ.

15. იმავე ადგილას ცხოვრობენ არსებები, რომელთაც ხამი მხარე აქვთ. ისინი ცხენისანი (ვარიანტი: ცხენის მსგავსი) არიან. მათი ფეხები ლომისაა. (ამ ცხოველების) სიგრძე არის 30 ფუტი, ხოლო გარშემოწერილობა – 12 ფუტი. დოღი აგებულების არიან. პურის სანიავებლის მსგავსი პირი აქვთ. თუ ისინი ხედავენ ადამიანს, ან თუ ვინგე მისდევს, ისინი გარბიან რაც ძალი და ღონე აქვთ. თუ ვინგეს მათზე ნადირობა სურს, ხაიდანმე სისხლი უნდა მოხწოვოს, რათა საკუთარი თავი დაიცვას ამ ცხოველებისაგან (ვარიანტი: ადამიანები იკვებებიან მათი სისხლით.

კიდევ სხვა გარიანტი: თუ ვინმე ამ ცხოველების გამოღვნებას დააპირებს, ის მდევარის სისხლს სწოვს, რადგან მისი დევნია არ შეიძლება და ამ-გარად ყოველგავარი გარეული ცხოველისაგან უნებელი რჩება). მათი სახელია პიპოპტამები.

16. მდინარე ბრიზონის აღმოსავლეთით ცხოვ-რობენ მაღალი და დიდი აღნაგობის ადამიანები. ბარძაყები 12 ფუტის სიმსხო აქვთ, ხოლო ფერ-დები და მეტები ერთად – 6 ფუტის. შავი ფე-რის არიან და მათ უწოდებენ პოტების. ერთმა-ნეთს იჯერებ და ჭამებ.

17. მდინარე ბრიზონში (ან: მდინარესთან ახ-ლოს) ბუდობენ პატარა ბესტიები ვირის ურ-ბით, ცხვრის მატყლით და ჩიტის ფეხებით. მათ ჯევიათ ლერტიკები.

18. მდინარე ბრიზონში არის კიდევ სხვა კუნ-ძელი, სადაც უთავო ადამიანები იბადებიან. თვალები და პირი მათ მეტდებ აქვთ. არიან დი-დები (მაღლები), ფართონი და ოქროსფერნი. (ამ არსებები) პევიათ ეპიფაგოები.

19. იმავე ადგილას ცხოვრობენ წარმოუდგენე-ლი სიდიდის, 150 ფუტის სიგრძისა და მეტად მსხვილი გარშემოწერილობის გველე-შაპები. არავის შეუძლია მდინარის აღვილად გა-დალახვა (იქ მყოფი) მრავალი გველეშაპის გამო. ისინი იბადებიან ბრიზონსა და ნილოსში.

20. არის კიდევ სხვა სამეფო ბაბილონიის ქვეყნებში. იქ არის მაღაინ დიდი და მაღალი მთა. (ამ მთაზე) ცხოვრობს ადამიანთა მოდგმა, რომლებიც ტირანები არიან (ვარიანტი: მთაზე ცხოვრობს ლომების მთელი მთდგმა). მიღიასა და სომხეთს შორის (ვარიანტი: შეა სომხეთში) არის (ასევე) დიდი და მაღალი მთა. იქ ცხოვრობენ მდიდარი ადამიანები. როდესაც (აქედან) წითელი ზღვისაკენ მივიღვართ, მარჯვენა მხარეს (პალე-ტინაში) მოვიტოვებთ თრ ქალაქს, ფენიქსს და ლობარას, სადაც ბევრი შეძლებული ადამიანი ცხოვრობს (ვარიანტი: ბევრი მათგანი წარმომაჟ-ლობით ინდოეთიდან და არაბეთიდან არის), რო-მელთაგანაც საგაჭრო გზები მიღის ინდოეთისა და არაბეთისაკენ. წითელი ზღვა მათ ხელშია და იქ ვხვდებით მეტად ძირფას მარგალიტებს.

21. ამ ადგილის გარშემო (შესაძლოა ინდოე-თისა და არაბეთისაკენ) მკვიდრობენ საზარელი გარეგნობის ქალები. მათ აქვთ მეტდამდე ჩამო-სული წვერები და ბრტყელი თავები. (ტანსაც-მლად) ცხოველის ტყავს ხმარობენ, ჰყავთ ცხე-ნები, არიან მონადირეები. ძაღლების ნაცვლად იშინაურებენ გარეულ ცხოველებს, ლეოპარ-დებს, რომლებსაც ნადირობისას იხმარებ (შემ-დეგ). ნადირობენ ყველანაირ გარეულ ცხოვე-ლებზე, რომელიც კი ამ მთებში ცხოვრობს.

22. იმავე ადგილას (ვარიანტი: იმავე მთის ტყე-ებში, წითელ ზღვასთან) ცხოვრობენ ქალები, რო-მელთაც აქვთ ტახის ეშვები, კოჭამდე ჩამოშეგებუ-

ლი თმა და უკან კი ხარის მსგავსი კუდი. არიან 12 ფუტის სიმაღლისანი. მათი სხეულის დანარჩე-ნი ნაწილი თმითა დაფარული, სირაქლემასნაი-რად (ვარიანტი: მათ აქვთ მარმარილოსავით თვთ-რი მშეგნიერი სხეულები, აქლემის ფეხები და ვი-რის მსგავსი კილები). არიან მეტად მშეგნიერნი და აქვთ ცხენის ფლობები. მინდოდა რამდენიმე მათგანის დაჭერა, რათა (ახლოდან) გვენახა, ხო-ლო შემდეგ რომაულ სივრცეში შემოვევულა ისინი ცოცხლად. ზოგიერთი მათგანი მოყლა სამ-მა ჩვენმა თანმხლებმა, რადგან (ამ ქალების) ცოცხლად შეკრობა ვერ შეძლებ (ვარიანტი: მათ შეეძლოთ გაქცევა და დიდხანს იბრძოდნენ. ერთ-ერთი ვერსია მორალური ხასიათის შენიშვნასაც დაურთავს მრავალი მათგანის მოკლასთან და-კავშირებით: ეს მოხდა იმის გამო, რომ ისინი იყ-ვნენ აღვირასხნილები, უსირცხვილოდ და უპა-ტივცემულოდ გვერბოლნენ თავიანთ სხეულებს).

23. ამ ადგილის გვერდით (ვარიანტი: ოკეანეს-თან ახლოს. მეორე ვარიანტი: ამ ადგილს ესაზ-დვრება სპარსელთა მეფის საბრძანებელი) ცხოვ-რობს დატყვევებული მოდგმა (ვარიანტი: არის მართლაც გარშემორტყმული დასახლება), რომ-დის (წარმომაღებელებიც) მშეგნიერი შესახედა-ობის არიან, უმი ხორცით და თაფლით ირჩენენ თავებს. იქ (მბრძანებლობას) მეტად სტუმართმოვეა-რე მეფე და მას ემორჩილება მრავალი ტირანი. სპარსელთა მეფე დარიოსი თავის ხალხთან ერ-თად (ერთხელ) იქ განერდა და ცხოვრების ყვე-ლა კარგი მხარით დატკბა. იქ, მეორე ოკეანეს-თან ახლოს (კიდევ) მრავალი მეფეა. ეს მეფეები იმდენი არიან, რომ მათი სახელების ჩამოთვლა და რიცხვის დასახლებაც კი ძელია. ეს ხალ-ხი დიდხანს ცხოვრობს და იმდენიდ კეთილია, რომ თუ ვინმე სტუმრად მივა მათთან, უკან სა-ჩუქრებით ისტუმრებენ. როდესაც ალექსანდრეგ ინახელა ისინი, გაკვირვებული დარჩა (ამ ხალ-ხის) აღამიანურობით და არ მოისურვა მათგანის რაიმე ზიანის მიერება ან მათი წამება.

24. არის მდინარეები (ვარიანტი: ხები, ქვე-წარმავლები), რომლებიც ძირფას ჰქონება წარ-მოიქმება. არის ადამიანთა შავი რასა, მათ ეწ-დებათ ეთიოპელები (ზოგ ვარიანტში ეს სიშავე შეცდომით ეთიოპელებიდან ძირფას ჰქებზე გადატანილი), როგორც ეს პომეროსის ნაწილებ-შიცაა მოთხოვნილი.

25. ამ ადგილს 323 ხტადიონის მანძილზე მოხდებს სხვა სამეფო ოკეანის მარჯვენა მხა-რებს. იქ იმყოფებიან პომოდუბიები. ადამიანთა მსგავსად იხედებიან ჭიათუ, მაგრამ სხეულის დანარჩენი ნაწილი გარეული ვირების აქვთ (ვა-რიანტები: აქვთ ცხენის ქვედატანი, ფრინველის მსგავსი გრძელი ფეხები, არიან 12 ფუტის სი-მაღლის). როდესაც ვინმეს ხელავენ, გარბიან იმ სიშორეზე, რამდენზეც შეუძლიათ.

26. ამ ოქანის სანაპიროსთან ახლოს 380 სტადიონის დაშორებით (ბოლო აღწერილი ადგილიდან) ცხოვრობენ სორაკები (ან: პორაკები), რომლებიც თქვენთან ტრიტონების სახელით არიან ცნობილი. ისინი არიან წინასწარმეტყველები (დვთაებრივი), თუ მოინდომებ რაიმე საგნის შესახებ პიოთხო მათ, პასუხსაც მიიღებ.

27. არის ასევე სხვა ადგილი, დასახლებული ბარბაროსებით, რომელთაც 110 მეტე ჰყავთ. ეს არის მეტად ბოროტი მოდგმა. ამ ადგილას არის ორი ტბა. ერთი ეპუთვნის მზეს, მეორე – მოვარეს. მზის კუთვნილი (ტბა) ცხელია დღისით და ცივი დამით. მოვარის კუთვნილი ცხელია დამით და ცივი დღისით. მათი სიგრძეა 200 სტადიონი.

28. ამ ადგილას იზრდება ხები, რომელებიც დაფინისა და ზეთისხილის ხების მხგავსია. ამ ხებისაგან მზადდება ბალზამი. აქედან 151 სტადიონის დაშორებაზე არის (კიდევ ერთი) ადგილი.

29. წითელ ზღვაში არის კუნძული, რომელზე მცხოვრები ადამიანთა მოდგმაც ჩვენთან დონეს-ტრეს სახელითაა ცნობილი, ისინი წინასწარმეტყველთა მხგავსნი არიან. თავიდან ჭიპამდე ადამიანს ჰგვანან, (მათი) სხეულის დანარჩენი ნაწილი ადამიანებისაგან განსხვავდება. ყველა რასის ენაზე ლაპარაკობენ და თუ დაინახავენ ადამიანს უცხო ქვეყნიდან, მიმართავენ მას სახელით მისხავე ენაზე, ლაპარაკობენ მის ნათეხავებსა თუ მეგობრებზე მაცდური სიტყვებით, ისე რომ ატყუებენ და იჭერებ მას. დატყვევების შედეგ კლავენ (ამ ადამიანს) და ჭამენ. ამის მერე მათ მიერვე შექმნელი ადამიანის თავი მიაქვთ და დასტირიან მას (გარიანტი: ლოცულობენ მასზე).

30. ამის იქით, აღმოსავლეთისაკენ, ცხოვრობენ 12 ფუტის სიმაღლისა და 10 ფუტის სიგანის ადამიანები. აქვთ დიდი თავები და პურის სანია-გებლის მხგავსი ფართო ყურები. დამდამობით ერთ ყურს ქვეშ იფენენ, მეორეს კი ზემოდან იხურავენ. იმალებიან ხოლმე თავიანთ ყურებში. არიან უბორობონ და აქვთ რძის მხგავსი თეთრი სხეული. როდესაც ხედავენ ადამიანს, შლიან ყურებს და გარბიან, ისე რომ, შენ იფიქრებდი, ხომ არ მიერინავენ.

31. არის კიდევ სხვა კუნძული, რომელზეც მცხოვრებ ადამიანთა თვალებიც ნათურებივით ანათებენ.

32. არის კუნძული, რომლის სიგრძე და სიგანე 200 (გარიანტი: 360) სტადიონია. ამ კუნძულზე არის მზის კოლონია (ქალაქი, ან მზის სამშობლო), პელიოდოლისი. ის 300 სტადიონის სიგრძის სპილენძის და რკინის გალავნითაა გარშემორტყმული. ამ ადგილას არის დაფნისა და ზეთისხილის მხგავსი ხები, რომლებიც გუნდრუსა და ბალზამს იძლევიან. იქ აღმოსავლეთ მხარე არის მზის ტაძარი, სადაც მშვიდი ქურუმი იცავს ზღვასთან მდებარებული ტერიტორიას.

გაძარია ამ ადგილას. ერთი ოქროს ქვითაა ნაგები, ხოლო მეორე სპილენძისაა (გარიანტი: ორივე ტაძარი არის ოქროსი, გადახურულია დარიჩინის ფერი რკინით და კვადრატის ფორმა აქვთ). ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 265 ფუტია, ხოლო (მისი) გალავანი ცხრა ფუტის სისქისაა. ამ ტაძარში არის მარგალიტებისა და (სხვა) ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული საკურთხევებით. ის 70 ფუტის სიგრძისაა. იმავე ადგილას მდებარეობს მზის საწოლი, დამზადებული სპილოს ძვლისა და უაღრესად რაფინირებული ოქროსაგან, შემცული მეტად ძვირფასი ქვებით. მისი გარშემოწერილობა 16 ფუტია.

33. იმავე ადგილას (გარიანტი: იმავე შენობაში) არის ოქროს ვენახი. ეს არის ოქროსაგან დამზადებული და ოქროთი დამაგრებული მტევნები. გარშემო სამყოფელში (ყველაფერი) გამოკვეთილია თვლებისა და კვადრატული (ან: ცილინდრული) ძვირფასი ქვებისაგან, საიდანაც უძირფასები მარგალიტის უურნის მტევნები (ერთ ვარიანტში მათი ზომა 150 ფუტია) ეშვება. ეს შენობა ქურუმის სახლია, ოქროთი (ვარიანტი: ვერცხლით) ნაგები. ქურუმი იკვებება გუნდრუკით და სეამს ბალზამს. მას სძინავს ვენახში ამ მტევნების ქვეშ. იქ არის ასევე 106 ფუტის სიგრძის სპილოს ძვლის საწოლი. (ამ ყველაფრის) ნახვის უფლება არც ერთ გარეშეს არა აქვს, ერთადერთი, თუ ის პელიოდოლიში (სამუდამოდ) დასტარჩენად არ არის მოსული.

34. ამ ადგილას არის (ადამიანისათვის) მიუდგომელი აღმასის მთები, სადაც ბუდობს ფრინველი გრიფონი. მას აქვს ოთხი ფეხი, არწივის თავი, ხარის კუდი და დიდი ფრთები. იმავე მთებში ცხოვრობს ფრინველი ფეხისას, რომელსაც აქვს ფარშავანგის გვირგვინის მსგავსი ბიძილი. ეს ფრინველი მზის სიხარულთა შორისაა. ცხოვრობს აურაცხელ წელიწადს და მისი დამატებრივი ბუნების გამო იბადება ერთადერთი და ყოველთვის ერთადერთად რჩება. აქვს მარგალიტის ბუდე და მთელ დროს ატარებს დარიჩინში (ვარიანტი: აქვს დარიჩინის ბუდე). მაგრამ ჩვენ არ ვიცით რას ჭამს და როგორ ცხოვრობს. ათას წელს (ვარიანტი: 540 წელს) სიცოცხლის შემდეგ ბუდიანდ იწვავს თავს და ხელახლა იბადება ფერფლიდან. ამგვარად ხდება, რომ ის მუდამ კვდება და მუდამ ცოცხლობს.

35. არის კიდევ სხვა მთები (ვარიანტი: სხვა მთა. ან: ამ მთის იქით მდებარე სხვა მთები), სადაც იმყოფებიან შავი ადამიანები. არავის შეუძლია გასცედეს ამ ადგილს, რადგან მთები იწვაონ. (მთები) გავარგარებულ ცეცხლს აფრქვევებ ხელ საათამდევ. მთებს ეწოდებათ ოლიმპონ და სმარაგდონი. ამ მთების გარშემო მდუღარე ზღვა იწყება ქალაქ (კოლონია) პელიოდოლისიდან. ამ ზღვის გადალახვა (არავის) არ შეუძლია, არც მისი ყურება ძალუძს ვინ-

მეს. იმავე ქალაქ პეტროპოლისში არიან ღვთისმოსავი ადამიანები, რომელებიც თავიანთ ღვთაებებს ემსახურებიან (ან: სხვადასხვა კულტების მიმღვრები არიან და სხვადასხვა ღვთაებებს ხცემენ თაფვანს). მათთან ახლოს, ოკეანის სანაპიროს გაყოლებაზე (ვარიანტი: მეორე ოკეანესთან), ცხოვრობენ უძმერთო გევიატელები. ამ ადგილსა და ქვეუნიერების დასახრულს შორის ვხვდებით ვაცისრქებიან და ჩლიქებიან ადამიანებს, რომელთაც გეგოტონები ეწოდებათ. ჩვენგან გაგზავნილებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ ამ ადგილებს იქით, მიღმა არც რაიმე ძირფასეულობაა, არც საერთოდ არაფერი, არის მხოლოდ სრული წევდიადი.

36. მოგზაურთა მონათხრობებმა სურვილი აღმიძრა, მე თვითონ მენახა მსგავსი საგნები, (მოგზაურობიდან) დიდი ძვირფასი ქვებით დატვირთული დავბრუნდი უკან (ვარიანტი: ძვირფასი ქვები ჩამოვუტანე ჩემს ერთგულ, მზრუნველ და საყვარელ მშობლებს). მივაღწიე წერტილს, რომლის იქით წახვდა არც ერთ ადამიანს არ ძალუს. ყოველგვარი ჯურის ხალხი, შეძლებულები თუ დატაცები, დიდ პატივისცემას იჩენდნენ ჩემდამი (ან: თავიანს მცემდნენ) და მეტის-მეტიდ სურდათ, რომ ისინი დამეკავშირებინა რომთან (შეხებაში მომეუვანა რომთან). მარადიულო და დაუცხრომელო იმპერატორ, მსურს (ან: გისურვებ), რომ ამ კველაფერს გაუცნო, როგორც ჭაშმარიტებას, რათა შენ (კიდევ უფრო) უკეთესად იცხოვრო და ეს სიამოვნება მრავალი წლის განმავლობაში მოიგონო ხოლმე. ეს წერილი მე დავწერე და მე გამოვგზავნე, იმის იმუდით, რომ ეს შენ გაგახარებს, ჩემთ ბატონო.”

ფარსმანის წერილის თემას, ჩემს ხელო არსებული ინფორმაციის თანახმად, შექენ შემდეგი ეკროპელი მეცნიერები: ანრი ომონი², ედმონ ფარალი³, ალფონს პილგა⁴, მონტეგიუ ჯეიმსი⁵, როი გისბი⁶, ენ ელიზაბეტ ნოკი⁷, დევიდ როსი⁸.

უკროპულ მეცნიერებაში ფარსმანის წერილთან დაკავშირებით შემუშავდა ერთგვარად ზოგადი პოზიცია, რომელსაც აქ მხოლოდ გაერთიანებული დასკვნის სახით წარმოვადგენ (რადგან აღნიშული კისიტოლარული ძეგლის მასალა სხვადასხვა ვარიანტს მოიცავს და ლამის ყველა ვერსიაში აღმოსავლელი მეფის სახელი, მართალია მცირედით, მაგრამ მაიც განსხვავებული ფორმითაა მოცემული, ჩამოყალიბდა გამაერთიანებელი ტერმინი „ფარსმანის წერილი“ – “Der Brief von Parasmanes”, “The Letter of Parasmanes”. „ფარსმანებს“ არის იბერთა მეფე ფარსმანის სახელის ლათინიზებული ფორმა – რითიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკროპელ მეცნიერებთან წერილის ავტორად იბერიის მეფე ფარსმანის საბოლოო აღიარება მოხდა):

ფარსმანის წერილთან დაკავშირებული მასალიდან სულ ველობთ 7 ვარიანტს. ეს ვარიანტები იყოვა ორ ჯგუფად, რა და f ჯგუფებად. ჯგუფებად დანაწილება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი ასოთი იწყება ცალკეულ ვერსიაში წერილის ავტორის სახელი, და, ასევე, მცირეოდენი შინაარსობრივი განსხვავებების საფუძველზე. აქვე მოვიტან ფარსმანის წერილის არსებული ვარიანტის ჩამონათვალს. რა ჯგუფში შედის: 1. მეფე პრემენის წერილი (Epistola Premonis Regis ad Trajanum Imperatorem). 2. მეფე პარმონენის წერილი (Epistola Parmoenis Regis ad Trajanum Imperatorem). 3. მეფე პარიმენის ძველი ფრანგული წერილი (L'epist le roy Parimenis a l'empereur). 4. ლათინური მირაბილია, ანუ საოცრებანი (Mirabilia). 5. ძველი ინგლისური აღმოსავლეთის საოცრებანი (Wonders of the East). f ჯგუფს წარმოადგენ: 1. ფერმენის წერილი (Fermes Letter). 2. ფერამენის წერილი (Feramen Rex ad Adrianum Imperatorem). როგორც ამ ჩამონათვალიდან კარგად ჩანს, ლამის ყველა სახელი მეტისმეტად ჰგავს ფარსმანს, ან იბერთა მეფის სახელის ეკროპელ-ლათინურ ფორმას: Parasmanes (მაგალითად, Parmoenis, Parimenis, Feramen-iს შემთხვევაში მხოლოდ ს-ს ჩამატებაა საკმარისი).

ფარსმანის წერილის ყველა ეს ტექსტი ერთი ლათინური ორიგინალიდან უნდა მომდინარეობდეს. წერილი ინგლისურად და ფრანგულად ლათინური ვარიანტებიდან ითარგმნა. ფარსმანის წერილის ყველაზე აღრეული ხელნაწერი თარიღდება IX საუკუნის დასაწყისით. ფარსმანის წერილის ლათინური ორიგინალი უნდა შექმნილიყო II-IV საუკუნეებში. ლათინური ორიგინალი საგარაულო ითარგმნა ბერძნული ტექსტიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ ვარაუდს ადასტურებს ფარსმანის წერილის ანალიზი. თავად წერილში მოცემული მითოსის ფორმაც უფრო ბერძნულია, ვიდრე ლათინური. ამასთან ვხვდებით მოტივებს ბერძნული მითოსიდან, რომლებიც ლათინურ წყაროებში ამ ფორმით დაფიქსირებული არ არის (მაგალითად, ჰელიოპოლისის აღწერა).

წერილის თავდაპირებელი ადრესატი ორიგინალში მაინც ადრიანე უნდა ყოფილიყო. ტრაიანე სავარაულოდ მოგვიანოდ დაუკავშირებს ფარსმანის წერილს. აღმოსავლელი მეფე, რომელიც იმპერატორ ადრიანეს წერილს უგზავნის, არის იბერთა მეფე ფარსმანი, რადგან აღნიშნულ ეპოქაში ერთადერთი მსგავსი სახელის მქონე და რომთან მსგავს მიმართებაში მყოფი მძლავრი აღმოსავლელი მეფე, რომლის იმპერატორებთან კავშირის შესახებ ლათინური წყაროებიც მოგვითხობენ, გახლავთ იბერიის მეფე ფარსმან II. მაგრამ ეს წერილი, სავარაულოდ, თავად ფარსმანის შეთხული არ უნდა იყოს. იმ დროის ან ცოტათი მოგვიანო ხანის მწერალი ავტორობას ფარსმანის მიაწერს, რადგან ძლიერი აღმოსავლე-

ლი მეფე ფარსმანი ერთგვარად შორეული და ეგზოტიკური ფიცურა იყო, კარგად ახსოვდათ ასევე მისი ვიზიტი რომში. იმ ფაქტზე, რომ წერილი უშუალოდ ფარსმანს არ ეკუთვნის, შემდგა გი გარემოებაც უნდა მიანიშნებდეს. წერილში მოთხოვდილია არა იძერის, თუ მის ჩრდილოეთით, ან უშუალოდ აღმოსავლეთით მდებარე მხარეების შესახებ, არამედ ყურადღების ცენტრშია ინდოეთისა და არაბეთისაკენ მდებარე ზღაპრული რეგიონები.

ფარსმანის წერილი ერთმანეთთან ათავსებს იტინერარის (სამოგზაურო აღწერა, რომელიც იძლევა გავლილი გზის სურათს ერთი კონკრეტული პუნქტიდან მეორემდე) და ფანტასტიკურ ამბავთა მოთხოვდის ელემენტებს. ფარსმანის წერილში წარმოდგენილი მონსტრუალური რასების ქრისტიანული სიმბოლიზმის ჭრილში მოცემული ინტერაციების თეორია, რომ თითქოს ამ საოცარ არსებებს ქრისტიანული სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძლება პქნონდეთ წერილში, ევროპელ მკვლევართა უმრავლესობის აზრით, არ უნდა იყოს მართული, რაღაც ფარსმანის მთელ რიგ მონსტრუალურ არსებებს (მაგალითად, წვეროსან ბრტყელთავა ქალებს და ასე შემდეგ) ქრისტიანულ სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ვერც ერთ ძეგლში ვერ შევხვდებით. შეუა საუკუნეების ევროპაში ფარსმანის წერილის ამგვარი პოპულარობის მიზეზი გახლდათ მასში მოცემული უხვი მასალა საოცარ, მონსტრუალურ არსებებზე (რომელთა რეალობაშიც შეუა საუკუნეების ადამიანი ურყევად იყო დარწმუნებული და მათი წარმოშობის საკითხის კვლევას დიდი თეოლოგებიც კი არ თაკოლობდნენ) და ზღაპრულ რეგიონებზე.

ფარსმანის წერილში მოხსენებულ ბესტიათა დიდი ნაწილი კარგადაა ცნობილი უკვე ანტიკურობის ბერძენი ავტორებისაგან და, როგორც ჩანს, წერილი უმეტესწილად სწორედ მათ ემყარება. თუმცა ფარსმანის წერილში არის რამდენიმე პასაჟი (რამდენიმე მონსტრუალური არსება, მდინარე ბრიზონი ეგვიპტეში), რომლებიც არც ერთ უფრო ადრინდელ წყაროში არ ჩანს. ამასთან, წერილში გვხვდებით წინარებერძნული მოთხის პლასტიკებაც (მაგალითად, ტრიტონები).

ფარსმანის წერილმა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა შეუა საუკუნეების ევროპულ ძეგლებზე. ეს წერილი ერთ-ერთი მთავარი წყაროა შეუა საუკუნეების ლათინურ ბესტიათა აღწერილობის წიგნისათვის *Liber Monstrorum* (ყველაზე ძველი ხელნაწერი თარიღდება 830 წლით, მაგრამ გაცილებით ადრინდელი ნაწარმოები უნდა იყოს), აგრეთვე XIII საუკუნის დასაწყისის გერმანელი აგრორის გერვაზიუს ტილბერიელის ნაშრომისათვის *Otia Imperialia*. ფარსმანის წერილში აღექსანდრე მაკედონელის მოხსენიება, ასევე “აღექსანდრეს რომანთან” დაკავშირებული რამდენიმე

ელემენტის წერილში გამოჩენა, ალბათ, გვიანდები ინტერპოლაციაა, თუმცა “აღექსანდრეს რომანთან” შესაძლო გავლენა წერილის შექმნის საწყის ეტაპზე გამოსარიცხი არ არის. მაგრამ შემდეგ ფარსმანის წერილი თავად ხდება შეუა კუნეების ლათინური და ფრანგული “აღექსანდრეს რომანთან” ერთ-ერთი საფუძველი. აღმოსავლეთის ამბავთა აღწერისას ფარსმანის წერილს ხშირად ემსარებოდა აკრის ეპისკოპოსი უაპ დე ვიტრიც (XIII საუკუნის დასაწყისი).

ევროპელ მეცნიერთა მოსაზრებების ზოგადად გაცნობის შემდეგ აქვე მალიან მოკლედ ჩამოვაყალიბებ ჩემს შეხედულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ოღონდ მკითხველისათვის დასკანების გაცნობამდე სასურველია, თვალწინ პქონდეს ასევე მოკლე ისტორიული სურათი, რადგან იგივე დასავლეთევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში იძერის ისტორიიდან უაღრესად ცოტა მასალაა გათვალისწინებული. ა.წ. I საუკუნის შეუა ხანებში ფარსმან I-ის მეფობისას იძერიელები გარკვეულ ხანს სომხეთს იპყრობენ. იძერების მხრიდან სომხეთის შემოერთების ცდები შემდეგაც არ წყდება. სომხეთის ფლობა ერთგვარად რომის ხელდასხმით ხდება, მაგრამ იძერიელთა შეფეხები იმავდროულად რომის საწინააღმდეგო აქციებსაც ხშირად მიმართავდნენ, რაც, მაგალითად, იმითაც გამოიხატება, რომ როგორც ფარსმან I-ის, ასევე ფარსმან II-ის დროს ჩრდილო კავკასიიდან გადმოყავთ აღანები და არბევინებენ რომის კუთვნილ ტერიტორიებს წინა აზიაში. ამის მაგალითთან ფარსმან II-ის მიერ საგარაუდოდ 134 წელს, ადრიანეს მმართველობის ხანაში, მოწყობილი ფართომასშტაბიანი აქცია. ფარსმანმა გახსნა კავკასიის კარები და აღანები შეუხია რომისა და პართიის სამფლობელოებს. ამასთან დაკავშირებით, პართიის მეფე ვოლოგეს II-მ ადრიანესთან გაგზავნა ელჩები, რომელთა პირითაც რომის იმპერატორთან ფარსმანის მოქმედებათა გამო ჩიოდა (არსებობს მეორე ვარაუდიც, რომ ვოლოგესის ეს ელჩობა უკვე ანტონინე პიუსის ხანაში გაიგზავნა რომში)⁹. კაპადოკიაში მყოფი ადრიანე ფარსმანს თავისთან მიიღვევს, მაგრამ ფარსმანი უარს შეუთვლის მისელაზე. ფარსმანის უარის მერე ადრიანეს დესპანი უნდა გაეგზავნა იძერთა მეფესთან და ეს ელჩი სავარაუდოდ იყო ფლავიუს არიანე. ადრიანე კველაზე მეტ საჩუქრებს უგზავნიდა იძერთა მეფე ფარსმანს. ერთხელ ფარსმანმა ადრიანესაგან, სხვა ძვირფასი საჩუქრების გარდა, სპილო და ორმოცდაათკაციანი კოპორტა მიიღო. დაფიქსირებულია ასევე ფარსმანის მიერ ადრიანესათვის გაგზავნილი საპასუხო საბუქრები, მათ შერის სამასი მოქადარვილი წამოსასხამი. ეს საჩუქრები, როგორც ჩანს, რომისა და იძერის ურთიერთობების გამწვავებულ პერიოდს და-

ემთხვე, ამიტომ ადრიანემ ფარსმანის მიერ გამოგზავნილი წამოსახსეამებით მოსილი სამახი დამხაშავე გლადიატორი აბრძოლა არენაზე¹⁰. უკვე ანტონინე პიესის დროს ფარსმანი სტუმრად ჩავიდა რომში მეუღლესთან, გაუთან და მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად. მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იქ. იმპერატორი და ესტრო ფარსმანის მიერ კაპიტოლიუმზე მსხვერპლის შეწირვის ცერემონიას, ასევე ფარსმანისა და მის თანმხლებ იბერიელ დიდებულთა მიერ გამართულ სამხედრო ვარჯიშს და ცხენოსანი ფარსმანის ქანდაქება აღამართინა ბელონას ტადარში. ამავე ხანის რომის საქალაქო ქრონიკა იბერთა მეფის ფარსმანის რომში ჩამოსვლას უმნიშვნელოვანებას მოვლენათა შორის მოიხსენიებს¹¹ (სტუმარი მეფის მიერ კაპიტოლიუმზე მსხვერპლის შეწირვას რომის იმპერატორები სხვა შემთხვევაშიც დასტრებიან, მაგრამ ქანდაკების აღმართვა რომის ტადარში უნიკალური მოვლენაა).

რეალური ისტორიული სურათის გარდა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რომაელებისათვის იბერია მაინც ერთგვარ შორეულ და ზღაპრულ ქვეყანად რჩება. საერთოდ რომაელებისათვის, ისევე როგორც შეა საუკუნეების ეპროპელებისათვის, სომხეთს იქით საქართველო იქნებოდა ეს თუ აღმოსავლეთის სხვა მხარე, ფაქტობრივად იწყებოდა Terra Incognita. აქ ვითარებას კარდინალურად არ ცვლის არც პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში, არც ფლავიუს არიანეს შავი ზღვისპირეთის აღწერილობა. განსაკუთრებით იბერია რჩება რომაელებისათვის სამყაროს კიდევ, რადგან რომაელთა წარმოდგენის მიხედვით, დღევანდელი კავკასია სამყაროს დასასრული თუ არა, ქვეყნიერების ბოლოს უშუალოდ ემეზობლება (რადგან კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია რომაელებთანაც მეტად მცირე სივრცეზე დაიყვანება). კასპიის ზღვა გახლავთ ჩრდილოეთ ოკეანის უერე და არა ტბა. კასპიის ზღვა მთლიანად დღევანდელ კავკასიასთან ერთად რომაელთა გეოგრაფიულ ველტბილდში ინდოეთის უშუალო სიახლოებებისა (იბერიის შესახებ ყველა ცნობა, დიონ კასტოუსთან იქნება ეს, ელიუს საარტიანესთან თუ პლინიუს უფროსთან, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ეს სამეფო რომაელთათვის, წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასე ვთქვათ, ბოლომდე ათვისებული მაინც არ არის.

აღნიშნული ფაქტის თვალსაჩინო ნიმუშია ე.წ. პოიტინგერის ტაბულა, ანუ კასტორიუსის რუკა. ეს გახლავთ ერთადერთი გადარჩენილი რომაული რუკა, რომელიც სავარაუდო ას.წ. IV საუკუნით თარიღდება და რომელიც XII საუკუნის ერთმა ასლმა შემოგვინახა. პოიტინგერის ტაბულა არის რომის იმპერიის გზების რუკა, მაგრამ

ფაქტობრივად გვიხატავს მთელი მაშინდელი ცნობილი ქვეყნიერების სურათს¹². პოიტინგერის ტაბულაზე იბერიის დიდი წარწერა მოთავსებულია ტავროსის მთების სამხრეთით, ბაბილონიის უშუალო სიახლოებებს. იბერიიდან ინდოეთამდევც ადარ არის შორს. იბერია უშუალოდ ემეზობლება მდინარე ტიგროსს, მდინარე ტიგროსი კი პირდაპირ გადადის მდინარე განგში (მართალია ტიგროსისა და განგის შეერთებას XII საუკუნის კოპიისტების მიაწერენ, მაგრამ ერთი, რომ, ეს შეცდომა, ანუ ინდოეთის მეტისმეტი დაახლოება წინა აზიასთან, მეტად სიმპტომატურია ანტიკური ხანის გეოგრაფიისთვისაც, და, მეორეც, რომ, ეტყობა, ეს მდინარეები იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან გამოსახული, რომ კოპიისტები მათი შეერთება დიდ მკრეხელობად ადარ მოქვენა).

პოიტინგერის ტაბულაზე იბერიის ტავროსის მთების (ამასთან, ტავროსის მთები კვეთს მთელ აზიას აღმოსავლეთის ოკეანემდე) სამხრეთით მოთავსებას და იმავე დროს, იბერიის ინდოეთანაც საეჭვო სიახლოებში მოვლას, ჩემი აზრით, ორი ასხნა შეიძლება პქნოდეს. პირველი გახლავთ ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის დროს ქართლის სამეფოს ექსანძია. რაკი გარკვეულ ხანს სომხეთი ფაქტობრივად ქართლის შეფერა გამგებლობაში გადმოვიდა, ამიტომ იბერიის საზღვრები მესოპოტამიიდან მართლაც ადარ იყო შორს. მართალია, ეს არ არის ის რეალობა, რომელიც პოიტინგერის ტაბულის შექმნის ხანაში არსებობდა, მაგრამ სავარაუდებელია, რომ პოიტინგერის ტაბულა ემფარება ძველ რომაულ რუკებს. მეორე ასხნა კი რომაელთა გეოგრაფიულ წარმოდგენებშია ალბათ საძიებელი (იბერიის ტავროსის მთების სამხრეთით, ბაბილონიის უშუალო სიახლოების მთავსებით, შეა საუკუნეების დასავლეთევროპული რუკებიც აგრძელებენ პოიტინგერის ტაბულის ტრადიციას. იბერია ტავროსის მთების სამხრეთითაა გამოსახული, მაგალითად, X საუკუნის ანგლო-საქსონურ რუკაზე, ე.წ. კოტონიანაზე და XIII საუკუნის ჰერეფორდის მსოფლიოს რუკაზეც).

რომაელებთან იბერიის სამეფოსა და უშუალოდ ფარსმან მეფის ერთგვარ შორეულობას და ზღაპრულობას კარგად ადასტურებს ფლავიუს არიანეს ცნობა. არიანე უფრო ხშირად იძლევა რეალობასთან ახლოს მდგომ სურათს, მასთან ნაკლები დოზებითაა ზღაპრული გეოგრაფიული წარმოდგენები, რასაც ადასტურებს შავი ზღვის აღწერილობაც. პერიპლუსში არიანე გაკვრით ფარსმანისაც ახსენებს, როგორც რეალურ ისტორიულ პიროვნებას, მაგრამ “ალექსანდრეს ანაბასისში” არიანეს კისერზე რამდენიმე მძიმე გეოგრაფიული “ცოდვა” მაინც არის. მათ შორისაა შემდეგი ცნობა: შეა აზიაში, ბაბილონიაში მყოფ ალექსანდრე მაკედონელთან, რომელიც ინდოეთან ბრძოლისათვის ემზადება, მოდის ხვარაზმელთა მეფე

ფარსმანი (Parasmanes) 1500 მხედრით, ეუბნება მაკედონელს, რომ კოლხებისა და ამორძალების უშეალო სიახლოებებს ცხოვრობს, სადღაც შავი ზღვის მიდამოებში და ამ ხალხებზე ალექსანდრეს ლაშქრობის შემთხვევაში თავის დახმარებას სთავაზობს¹³. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ აახლოებს და ურეკს ერთმანეთთან ანტიკური გმოგრაფია მისთვის ნაკლებად ცნობილ მხარეებს (სხვათა შორის, არიანეს ამ ცნობამ ადრეული ახალი დროის დასავლეთევროპელ კარტოგრაფებთანაც დიდი არეულობა გამოიწვია. მაგალითად, აბრაჰამ თრტელიუსი იძლევა მაკედონელის ლაშქრობათა რუკას, სადაც ანტიკურობის ხვარაზმელები უკვე დღევანდელ კავკასიში არიან მოთავსებულნი). მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფარსმანი უკვე მის თანამედროვე რომაელებთან იქცა ლეგენდარულ ფიგურად, არიანემ ფარსმანი, თუ მისი სახელი მაკედონელის ეპოქასა და აღმოსავლეთის ზღაპრულ მხარეებში გადასვა (მიუხედავად იმისა, რომ არიანეს ფარსმანი შესაძლოა პირადადაც ჰყოლოდა ნანახი). ანუ ის პროცესი, რასაც აღილი აქვს ფარსმანის წერილში, როდესაც ფარსმანი ლამის მთელი აღმოსავლეთის მბრძანებელია, უკვე ფლავიუს არიანესთან არის ჩანასახის სახით მოცემული.

იბერიის მაშინდელი ისტორიისა და რომაული გეოგრაფიული წარმოდგენების მცირე ანალიზიც ყოველგვარ გვხს გარეშე უნდა ადასტურებდეს, რომ ფარსმანის წერილი, ასე ვთქვათ, მყარ იბერიულ საფუძველზე დგას. რადგან რეალური ფარსმანი არის მძლავრი აღმოსავლელი მეფე, რომელსაც წინა აზიის გარკვეული ტერიტორიებიც ემორჩილებოდა. გეოგრაფიულ წარმოდგენათა კუთხით კი რომაელებთან ფარსმანის სამეფო ნახევრად ზღაპრული ქვეყანაცაა, ინდოეთის, არაბთის და ბაბილონის სიახლოებეს მდებარე. წერილის მეფე ფარსმანი, ბუნებრივია, მხოლოდ იბერიის მეფე. ოღონდ აქ გასარკვევია საკითხი, ეს ნაშრომი იბერიის მეფე ფარსმანს მიაწერეს, როგორც ამას დასავლეთევროპელი მკვლევარები ვარაუდობენ, თუ წერილის ავტორი უშეალოდ ფარსმანია. ჩემი აზრით, ერთგვარად უფრო მართებული უნდა იყოს შეალებური გზა: გაისტოლე იმ ფორმით, როგორც დღეს გვაქვს, ფარსმანის ნაწერი არ გახლავთ, მაგრამ აღნიშნულ ძეგლს საფუძვლად უნდა დახდებოდა ფარსმანისა და ადრიანეს რეალური კორესპონდენცია. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებები: წერილში აშკარად ჩანს, იმ ურთიერთობის გამოძახილი, რომელსაც ზემოთ ფარსმანსა და ადრიანეს შორის შევხვდით. ადრიანესა და ფარსმანს შორის ფაქტორივად ისტორიულად დასტურდება რამდენიმეგზის ელჩობა. გარდა ამისა, პოლიტიკური სურათიც ძირითად მონახაზში სწორად არის მოცემული. მძლავრი აღმოსავლელი მეფე, რომელსაც

გარკვეულ ხანს აშკარად უნდა ეპუთვნოდეს რიგი ტერიტორიები იბერიის სამხრეთით (რისთვისაც რომისა და სპარსეთის წინააღმდეგ მოწყობილი ეს პერიოდული რეიდებიც საკმარისია), ერთგვარად აღიარებს რომის უზენაესობას, რისი დადასტურება მაინც არის ფარსმანის რომში ვიზიტი უკვე ანტონინე პიუსის დროს (მიმართვა “ჩემო ბატონო”, შესაძლოა, უკვე ლათინი ავტორის ჩამატებული იყოს). ფარსმანთან, ადრიანესთან დაძაბული ურთიერთობისა და ხანდახან რომის კუთვნილი ტერიტორიების რბევის მიუხედავად, ზოგადი სურათი რომისადმი დამოკიდებულებისა მაინც ამგვარი ჩანს. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ რომისადმი მიმართების ამ რეალური სურათის მომცემი სწორებ იბერიის მეფე ყოფილიყო. თეორიულად რომისადმი მსგავსი დამოკიდებულება, ძლიერი მეფის მიერ რომის ერთგვარი საყველთაო უზენაესობის დაშვების ფაქტი, სხვასაც შეეძლო ფარსმანისათვის მიეწერა, მაგრამ საერთო სურათის გათვალისწინებით, მაინც მგონია, რომ არსებობდა უშეალოდ ფარსმანის წერილი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ეს ლათინური ძეგლი. ლათინური წერილი ძერძნული წყაროდან უნდა იყოს ნათარგმნი. ეს ძერძნული წერილი თავად ფარსმანის ეპისტოლე იყო, თუ თავდაპირველად არსებულმა ფარსმანის წერილმა უკვე ბერძნულადვე განიცადა ამ ფორმით გადამუშავება, მნელი სათქმელია.

წერილის უდიდესი ნაწილი, ბუნებრივია, პოლიტიკურ რეალობას ნაკლებად თანხვდება. დასავლელ მკვლევარებს გამორჩათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. წერილის 1. პუნქტის მიხედვით, ფარსმანი ფაქტორივად მთელი ამ აღმოსავლური ქვეყნების მბრძანებლადაა დასახული, რადგან მისივე სიტყვებით, წერილში ჩამოთვლილი მხარეები და რეგიონები “მათი” კუთვნილი ქმენებია. “მათი” აქ გულისხმობს, რომ ისინი ფარსმანის საბრძანებელში შემთხვევიან, მაგრამ დაშვებულია თავად ფარსმანზე რომის უზენაესობა (ის მცირე ულოგიობა, რომ ფარსმანი მხოლოდ ადრიანეს თხოვნის შემდეგ იწყებს საკუთარი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ ინფორმაციის შეკრებას, წერილის ავტორს ვაპატიოთ). მთელ აღმოსავლეთზე მბრძანებლობის ეს მოტივი, ცხადია, ფარსმანის პირად წერილში ნამდვილად არ იქნებოდა და ის უკვე გადამუშავების შედეგად გვიანდელი დანამატია. მაგრამ რეალური საფუძველი უნდა ყოფილიყო ადრიანესთან ფარსმანისაგან მისული გარკვეული ინფორმაცია და რომისადმი დამოკიდებულების ფორმა, რამაც შემდეგ ზღაპრული ტრანსფორმაცია განიცადა.

დაახლოებით იგივე სურათია, თუ წერილს წმინდა გეოგრაფიული ასპექტიდანაც შევხედავთ. ევროპელ მეცნიერებთან გამოთქმული ვარაუდი, რომ თავად ფარსმანს არ უნდა დაეწერა ეს ეპის-

ტოლე, რადგან აქ იბერიასა თუ მის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებზე არაფერია მოთხოვილი, კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ჩრდილოეთის მხარეებზე ბევრი არც არაფერი იყო მოსაყოლი და ანტიურობასა თუ შეა საუკუნეებში კაგასის ჩრდილოეთით მდებარე სივრცე გეოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების მიერ არ ყოფილა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ წერილში იბერია არ არის აღწერილი, ევროპელ მკლევარებს აქ გამორჩათ ერთი მარტივი ამბავი. ფარსმანი სამოგზაუროდ მიდის სხვა ქვეყნებში და იქ ნანახს ჰყვება, ანუ იმას, რაც მისთვის იქნებოდა საინტერესო. ამდენად, წერილში იბერიის არმოხსენიება, ფარსმანის მოგზაურობის სინამდვილის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი შეიძლება იყოს. თვითონ მოგზაურობის ფაქტიც, ჩემი აზრით, ფარსმანის ასევე რეალურ ცნობებს უნდა ემყარებოდეს. გეოგრაფიულად ეს მოგზაურობა სწორედ იდეალურად ესადაგება იბერიის მდებარეობას, რადგან მოგზაურობა, თავად ევროპელი მკლევარების აღიარებით, იწყება ტიგროსის პირას მდებარე და არა სირიის ანტიოქიიდან და აღწერილია იბერიის სამხრეთით მდებარე მთელი სივრცე (მართალია, მოგზაურობის მარშრუტი მთლიანად მწყობრი არ არის, მაგრამ ეს ფაქტი მაშინდელი გეოგრაფიული წარმოდგენებითაც შეიძლება იყოს განაირობებული და იმ გარემოებითაც, რომ წერილმა შექმნის შემდეგ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა). ეს გეოგრაფიული თანხვედრაც წერილში რეალური ელემენტების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, რადგან გაუგებარია, შესატყვისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, რატომ უნდა მიეწერა ვინმეს ეს ყველაფერი ფარსმანისათვის. ამასთან, წერილში წმინდა საქმიანი მოგზაურობის დაკვირვებებიც საქმიარისადაა დასახლებებზე, მანძილზე, სავაჭრო გზებზე. მით უმეტეს, ფარსმანი მოგზაურობისადმი ცუდად რომ არ იყო განწყობილი, რომში მისი ჩასელის ფაქტიდანაც ჩანს. რაც შეეხება ბესტიალურ არსებათა ციკლს, ძნელი სათქმელია, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ფარსმანის თავდაპირველ წერილში და რა - არა. რადგან ეს მონსტრუალური რასები ანტიურობისა და შეა საუკუნეებისათვის აბსოლუტურად სერიოზული რეალობაა და წერილის არქეტიპში მათი ყოფ-

ნის ფაქტი გამოსარიცხი არ არის.

წერილში მნიშვნელოვანია აგრეთვე მსოფლიმედველობრივი პლანი. როგორც ითქვა, ფარსმანის წერილის განმარტება ქრისტიანული სიმბოლიების ჭრილში სურდათ, რასაც არანაირი საფუძველი არა აქვს, რადგან წერილი პირდაპირ მზის კულტით სრულდება. მაგრამ გვიანანტიკურ სანაში წარმართებოაც პოპულარული გახლდათ გეოგრაფიული მოგზაურობის საბურველში ერთგვარად სულის გზის მოცემა (ამის მაგალითია წარმართულ ტრადიციაზე აღმოცენებული გნოსტიკური “სულის პიმნი”). შეიძლება დავუშვათ, რომ რეალური მოგზაურობის მიღმა ფარსმანის წერილი ერთგვარ სიმბოლურ შრესაც იძლეოდეს? – ბესტიათა შორის მოგზაურობა, რეალურ გარემოში მსვლელობა, რაც სრულდება მზის ტაძრამდე ამაღლებით და შემდეგ ქვეყნიერების, ანუ არსებობის კიდესთან მისვლით (მაგრამ ერთი ბესტია პელიოდოლისის ხილვის მერეც ხვდება ფარსმანს, რაც ამ სქემაში ბოლომდელოგიკურად არ ჯდება. ამასთან პელიოდოლისის იქითაც, ფარსმანის სიტყვით, მხოლოდ წევდიადია. არც ეს უნდა იყოს მისტიკური ხილვა თითქოს). მსგავსი ინტერპრეტაციებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო და ხშირად უბრალო ტექსტს ზედმეტი მნიშვნელობა თავს არ უნდა მოვახიოთ. ეს ვარაუდი, უბრალოდ, კითხვისას გამიჩნდა და, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასევე შეგითხვის სახით მინდა მკითხველს შევთავაზო. აქ ისიც გასარკევია, აქ ისიც გასარკევია, რომ თუ ტექსტში გარკვეული წარმართული მისტერიის ნაშთია დარჩენილი, ეს თავად მეფეს შეიძლებოდა დაეკავშირებინა თავის მოგზაურობასთან, თუ გვიანდელი დანამატია.

ნებისმიერ შემთხვევაში, თავად წერილი პირველები ფორმით ნამდვილად ფარსმანს ეკუთვნოდა და ასეთივე რეალობა უნდა იყოს ფარსმანის მსოფლიო მოგზაურობაც. მაგრამ ფარსმანის საწყისი ინფორმაცია შემდგომ სანაში აშკარად გადამუშავდა. რომაელებთან ფარსმანი იქცა მთვლი აღმოსავლეთის მბრანებელ ლეგენდარულ ფიგურად. აქ დაახლოებით ის შემთხვევაა, როდესაც შეა საუკუნეების ევროპელებთან პრესბიტერიონები გარდასახული დავით აღმაშენებელი თითქმის მთელ აზიაზე მეფობს. ფარსმან ქველი რომაელთა პრესბიტერი იოანეა ერთგვარად.

შენიშვნები:

1. აქ მომაქს ფარსმანის წერილის ერთგვარი სრული ფორმა, შეჯერებული ყველა არსებული გარიანტის მიხედვით, რადგან შემორჩენილია წერილის სხვადასხვა ვერსია, რომელთაგან ფაქტორივად არც ერთი არ არის სრული და ისინი გარკვეულ პუნქტებში მცირედით, მაგრამ მაინც, განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ აქ მივდევ ყველაზე ვრცელ ლათინურ ვარიანტს და ინგლისელი მკვლევარის ენ ელიზაბეთ ნოკის მიერ შესრულებულ, ყველა ტექსტის მეტად თუ ნაკ-

ლებად გაერთიანებულ თარგმანს (Ann Eliabeth Knock. A Synoptic Edition of the Letter of Pharsmans and the Old English and Old Picard Translations. Dissertation. London.1981. გვ. 923-932; 520-871). საუკუნეა-ლო ვარიანტში, ბუნებრივია, ტექსტების ორიგინალებისა და ყველა მათგანის ცალკეული თარ-გმანის გამოქვეყნების საშუალება არ არის. ამიტომაც შევეცები, სხვა ნაშრომისათვის თან-დართული აღნიშნული მასალა ახლო ხანში გამოვცე წიგნის სახით, რომელშიც უფრო დაწ-ვრილებით ვისაუბრებ ფარსმანის წერილის საგარაუდო წყაროებსა და ამ წერილის გავლენა-ზე საუბრების დასავლეთ ეკროპის ლიტერატურულ ტრადიციაზე.

2. H. Omont. Lettre a l'empereur Adrien sur les merveilles de l'Asie. Biblioteque de l'Ecole des chartes. LXXIV. 1913. გვ. 507-515
3. Edmond Faral. Une source latine de l'histoire d'Alexandre. La lettre sur les merveilles de l'Inde. Romania. 43 1914. გვ. 199-215; 353-370.
4. Alfons Hilka. Ein neuer (altfranzoesischer) Text des Briefes ueber die Wunder Asiens. Zeitschrift fuer franzoesische Sprache und Literatur. 46. 1923. gv. 92-103.
5. Montague Rhodes James. Marvels of the East. Oxford. 1929.
6. Roy A. Wisbey. Wunder des Ostens in der ‘Wiener Genesis’ und in Wolframs “Parzival”. Studien zur fruehmittelhochdeutschen Literatur. Herausgegeben von L.P. Jonson, H.-H. Steinhoff, R.A. Wisbey. Berlin. 1974. გვ. 202,205.
7. Ann Eliabeth Knock. A Synoptic Edition of the Letter of Pharsmans and the Old English and Old Picard Translations. Dissertation. London.1981.
8. David J.A. Ross. Alexander Historiatus: A Guide to medieval illustrated Alexander Literature. Frankfurt am Main. 1988. გვ. 32, 33, 91, 111.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. ობილის. 1970. გვ. 529, 532. Cassius Dio. Roemische Geschichte. ტ. 5. Zuerich und Muenchen. 1987. გვ. 236.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1970. გვ. 529-530. The Skriptores Historiae Augustae. Ed. David Magie. ტ. 1. London. 1953. გვ. 43, 55.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. 1970. გვ. 531-532. The Skriptores (1953). გვ. 123. Cassius Dio (1987). გვ. 243-244.
12. Konrad Miller. Die Peutingersche Tafel oder weltkarte des Kastorius. Stuttgart. 1916. oboლjои ასევე: Georges Grosjean. Rudolf Kinauer. Kartenkunst und Kartentechnik. Vom Altertum bis zum Barock. Bern. 1970. გვ. 15.
13. Arrian. Der Alexanderzug. Indische Geschichte. Muenchen und Zuerich. 1985. გვ. 321, 323.

Alexander Tvaradze
Institute of Philosophy. Hanover

LETTER OF KING PHARSMAN TO EMPEROR ADRIAN

The Georgian King Pharsman (II A.D.) used to maintain close connections to Rome. This and some other facts are confirmed by Pharsman's visit to Rome, where he conducted a tournament and as a result Pharsman's equestrian statue has been put up in Rome.

One letter of King Pharsman to Emperor Adrian has lasted out, where the Georgian King tells the Roman Emperor many interesting stories and describes exotic lands of the East. The text of the letter has been transformed in Greek; in the II-IV centuries the first Latin version has been created and it has arrived till now in several readings (some of them are translated in English and French).

The article presents a Georgian translation of King Pharsman's letter provided with the author's commentaries, where some geographical and historical aspects of the relations between Rome and Georgia in the II-III centuries are examined.